წლიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი 5 თებერვალი 1916 წ. | № 27

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წლიწადი მეორე **საქართველო** წლიწადი მეორე
**უპრემიოდ:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.
**პრემიით:** წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.
**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი" გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი" წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური **დიდი რუქა**.
ცალკე მყიდველთათვის თვითეული კრებ. ღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.
**ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76.** (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)
**ხელის მოწერა შეიძლება:** ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში. ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში". თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь"-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში", წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ში ს. მერკვილაძესთან. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი | პირველი წელი
„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა
**პაზმული და სამხატვრო კრებული**
**„მ ე რ ა ნ ი"**
კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 ივნისამდე 2 მანეთი. ცალკე ნომრის ფასი 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. [illegible]
ხელის მოწერა მიიღება „საქართველო"-ს რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.

3 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, თბილისში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

**გიორგი ივანეს ძე გძელიშვილი**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა განსვენებულის [illegible] ეკატერინე ივანეს ასული, ძმა სვიმონ ივანეს ძე. რძლები: ოლღა გიორგის ასული და ბარბარე იოსების ასული **გძელიშვილები**. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე (ელისაბედის ქუჩა № 65). გამოსვენება კვირას, 7 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 9 ნახევარ საათზე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—1)

ისადილეთ გემრიელად!
**ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო**
**„ო ს ტ ე რ ი ა"**
უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით
სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს ევროპიულ და კავკასიურ
**სადილ ვახშმებს**
მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული
საუცხოვოდ და სუფთად მორთული კაბინეტები
**ბილიარდები, ნარდი**
პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე / ვ. ა. თოფურიძე
(წ.—35—8)
ივახშმეთ გემრიელად!

**სახალხო სახლი** (ვ. ზუბალაშვილის სახელობისა)
ორშაბათს 8 თებერვალს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია
**ოიდიპოს მეფე**
თარგმანი კ. ანდრონისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ. თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ. გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ.,
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
მორიგი წევრი გამგეობისა: ი. გედევანიშვილი
ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 „მან.50 კ.-დე".
შემდეგი წარმოდგენა მადამ სან-ჟენ (4—48—1)

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მ უ ხ ა ძ ე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ** სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმი
**ნინო რჩხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმი
**მამულაშვილმა**
(ხოლმეოვისა)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილით 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა. ოლღის ქუჩა, № 22.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ოდესის [illegible] სამედიცინო ინსტიტუტის [illegible] დაბრუნდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. [illegible] საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი**
სთხოვს თელავის მაზრის თავად-აზნაურთა მობრძანდნენ 7 თებერვალს შუადღის 12 საათზე ქ. თელავში
**თავად-აზნაურთა საგანგებო სამაზრო კრებაზე**
სამხედრო საკრებულოს დარბაზში.
კრების საგანი: 1) მაზრის წინამძღოლის თანაშემწის არჩევნები.
(1—47—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

3 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** კავკასიის ასპარეზი. ზღვის სანაპიროებზე რუსის ჯარები სდევნიან ოსმალებს, გამაგრებული პოზიციებიდან უკვე მდ. ვიცესკენ გადაჰრეკეს. როგორც გუშინაც იყო ცნობა, კავკასიის ძლევამოსილი მხედრობა ეკვეთა აზრუმს, 9 ფორტი რომლითაც დაფარული იყო თვითონ აზრუმი, 70 ზარბაზნამდე დავლად დარჩა, სურსათი და ტყვეები. სამწუხაროდ, შტაბი ჯერ კიდევ თავს იკავებს იმ პოლკების სახელები გამოაცხადოს, რომელთაც ხიშტით ამოჰხოცეს ოსმალები. გამარჯვება ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ ადგილმდებარეობა და სასტიკი უამინდობა აჰირვებს საქმეს. ოსმალები დასავლეთიდან და სამხრეთიდან მოეჩქარებიან აზრუმის დასახსნელად. აზრუმის სამხრეთ ნაწილს ცეცხლი მოედო. ხნისის რაიონში რუსები წინსვლას განაგრძობენ.

დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში რუპეს ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა ჰაეროპლანი იძულებული გახდა ჩაშვებულიყო, რადგანაც რუსებმა მძიმე ზარბაზნიდან დაუწყეს სროლა. მტრის მძიმე ზარბაზნები ნახევარ საათის განმავლობაში შეუწყვეტლად უშენდა ილლუქსტის წინაპოზიციებს. დვინსკის ნაწილზე ილლუქსტის რაიონში, რუსებმა ორჯელ გამოიწვიეს აფეთქება მტრის მძიმე ბატარეათა შორის. გერმანელთა ორი იერიში გორბუნოვკაზე მოგერებულ იქმნა რუსების მიერ. ზემო იკვის რაიონში რუსთა არტილერიის ცეცხლით ჩაჩუმებულ იქმნა მტრის ზარბაზნები, რომლითაც ემუქრებოდნენ რუსთა თხრილებს. 1 თებერვალს რუსთა მფრინავი გაემართა პოდგორიცეს სადგურისაკენ. სადგურზე 7 ფუთიანი ყუმბარა ჩამოაგდო, ქალაქში 5 ორ ფუთიანი ყუმბარა, ხოლო სამი მტრის საწყობებში. მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდნენ მაგრამ უბრძოლველად მიიმალნენ. უსეჩკოსთან რუსებს დარჩათ აფეთქებული ადგილი.

---

**პარიზი**, 2 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში რიბომ კანონპროექტი შეიტანა ახალ სესხის თაობაზე 1916 წლის მეორე სამი თვისათვის. მთელი საჭირო სესხი უდრის 7 მილიარდს 818 მილიონ ფრანკს. აქედან სამხედრო საჭიროებისათვის ნავარაუდევია 6 მილიარდი და 333 მილიონი ფრანკი.

ბრიანმა და ბურჟუამ მინისტრთა საბჭოს მოხსენება წარუდგინეს იტალიაში ყოფნის თაობაზე და სრული კმაყოფილება განაცხადეს მიღწეულ შედეგებისა.

**სოლუნი**, 2 თებერვალი. ბევრი გერმანელი ჯაშუში დაატუსაღეს.

**კოპენჰაგენი**, 2 თებერვალი. ბერლინიდან იუწყებიან, გუშინ იმპერიის კანცლერმა მიიღო სხვა და სხვა პარტიის ლიდერები, დღეს კიდევ რეიხსტაგის ჯგუფთა წარმომადგენლებს მიიღებს. „ბერლ. ტაგებლატის" სიტყვით ორთავე თათბირი ეხებიან საზღვაო ბრძოლის საკითხს.

**სოლუნი**, 2 თებერვალი. მთელს ფრონტზე სრული სიწყნარეა. ყოველ დღე დიდ-დიდი ტრანსპორტები მოდის ჯარებით. 7 ათასი ბერძენი ცხენოსანი და ერთი ქვეითი პოლკი აქედან ლარისისკენ გაემართა, ძველს საბერძნეთში.

გენერალ სარაილის თხოვნის თანახმად საბერძნეთის მთავრობამ აღკრძალა სასმელების შეტანა სოლუნში, აგრეთვე რეკვიზიცია მოახდინა სასმელებისა, რაც კი რამ მოიპოვებოდა ქალაქში.

**ლონდონი**, 3 თებერვალი. გუშინ მთელი დღე საშინელი საარტილერიო სროლა იყო უმთავრესად იპრისკენ და გეეხეს სამხრეთით. გერმანელებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს. იპრკომინის არხისა და რკინის გზის შუა მათი ქვეითა ჯარი შეიჭრა 600 წყრთაზე. სხვა იერიშები უნაყოფოდ დარჩათ. ძლიერი საარტილერიო სროლა გრძელდება.

**რომი**, 3 თებერ. გუშინ რამდენჯერმე მოხდა საარტილერიო ბრძოლა, განსაკუთრებით იზონცოს ზემოდ. მტერი გაფაციცებით მუშაობს თავდასაცავ ხაზის გასამაგრებლად.

**პარიზი**, 2 თებერვალი. სამხედრო მინისტრის ამხანაგი ტომა დაბრუნდა პარიზში. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მან განაცხადა: „ჩვენ მეტად მალე შევთანხმდით საზოგადო ზომების მისაღებად, როგორც ეს მოვახდინეთ ინგლისშიო."

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანეთის სამზადისი.

შვეიცარიელი სამხედრო სპეციალისტი პოლკ. ფეილერი სწერს „Trib. de Geneve"-ში: „არ უნდა მოვიტყუოთ თავი, ვითომც გერმანეთი იმიტომ მიყუჩდა, რომ დაუძლურებული იყოს. პირიქით, უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ სამხედრო საიდუმლო ფარდის და გარეგნული დაბნევის იქით გერმანეთი სჭედავს ახალ-ახალს თავისებურს გრანდიოზულს გეგმას, რითაც მთელს ქვეყნიერებას განცვიფრებაში მოიყვანს. რატომ მიყუჩდა ამ ჟამად? ალბად იმიტომ, რომ ბულგარეთისა და ოსმალეთის ენერგიულ დახმარებაში მოსტყუვდა. მეორე, უეჭველია, ის გახლავთ, რომ ელის რეზერვის შევსებას, შესაძლებელია არტილერიისას. შესაძლებელია ისიც, რომ იგი მტრების სუსტ მხარეებს სწავლობს. რაც ხელთ საბუთები მაქვს იმის მიხედვით თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ გერმანეთი მარტში ამოიღებს ხმას და მაშინ დავინახავთ მის დაფარულ განზრახულებათ".

### ომის წერაქვი.

ლონდონის გაზეთი „Economist"-ი იკვლევს თუ რა უჯდება ევროპის სახელმწიფოებს დღევანდელი ომი. ეკონომისტის აზრით ომი უნდა ამ წლის 31 მარტამდე გათავდეს. მისი ანგარიშით წმინდა გასავალი, თუნდა ომის დროს განადგურებული სიმდიდრე არ მივიღოთ მხედველობაში, მუშათა ხელის დაკლება და სხვა, მებრძოლ სახელმწიფოებს უჯდებათ 101 მილიარდი მანეთი, რომლის მარტო სარგებელი უდრის $4^1/_2$ მილიარდ მანეთს. როგორ გაანაწილებენ ამ ვალს მებრძოლი სახელმწიფონი? ან როგორ გადიხდიან? საინტერესოა ვიცოდეთ თვით მებრძოლ სახელმწიფოთა ეროვნული დოვლათი და დანგრეული სიმდიდრე. თვითეულ ინგლისელის საშუალო ქონება წლიურად უდრის 3,900 მანეთს, საფრანგეთისა 3,250 მან., გერმანეთისა 2,350 მან., ავსტრიისა 1,800 მან., იტალეთისა 2,000 მან., ხოლო რუსისა, ოსმალოსი და ბულგარისა 700 მანეთს. მაშასადამე, ვალის გაწერა ყველაზე მეტად სამძიმო იმისთვის იქნება, ვინც უფრო ღარიბია. ეკონომისტი შემდეგ სტატისტიკურად იკვლევს დაგროვილ დოვლათის რაოდენობას, დღემდე დანახარჯს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მებრძოლ სახელმწიფოებს უკვე შვიდი წლის დაგროვილი ეროვნული სიმდიდრე გაუნადგურებიათ, მაშასადამე, რომ ცხოვრება იმ კალაპოტში ჩადგეს, როგორც ომამდე იყო, ამ სახელმწიფოებმა უკანასკნელი ათი წელიწადი მაინც უნდა უცადონ. თუ 31 მარტამდე არ გათავდება ომი, მათ ელით სრული განადგურება, ათი წლებიც საკმარისი აღარ იქნება ნორმალ ცხოვრებასთან დასაბრუნებლადაო.

### დაღუპულთა რაოდენობა

ინგლისური გაზეთები ფრიად დამაფიქრებელ სტატისტიკურ ცნობებს ადგენენ ომით დაზარალებულთა შესახებ. 31 მარტს რომ გათავდეს ომიო, მაშინ დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა ზედმიწევნით შეადგენდა 16,250 ათას კაცსაო. შეთანხმებულ სახელმწიფოთა რაოდენობა უდრის 8,850 ათასს, ხოლო მოკავშირეებისა 7,400 ათასს. საზოგადო რიცხვი მეომარ სახელმწიფოთა უდრის 447 მილიონს. მაშასადამე, 45 პროცენტი მაინც დააკლდებათ.

### ფონ-ბუშეს ტრაბახი

გერმანელ ელჩს ფონ-ბუშეს როდესაც ჰკითხეს, რატომ აგვიანებთ სალონიკის აპერაციასაო, უპასუხნია, აქ ჩვენ არა გვეჩქარება რა, ჩვენ რაც გვსურდა, ის ავიღეთ, ახლა მოკავშირეებს დავუცდით, დაე, იმათ პირველმა მოიტანონ იერიშიო. ჩვენი მორიგი საკითხი კი რუსეთია. ახლომომავალში იერიშებს განვაახლებთ და მალე კიევშიც თავს დამიკრავთო.

### ინგლისელები ეგვიპტეში

ეგვიპტეში დიდი მზადებაა, რათა გერმანელ-ოსმალთა ლაშქრობას შესაფერი პასუხი გასცენ. ინგლისელები სიმაგრეს სიმაგრეზე აგებენ როგორც თვით ეგვიპტეში, ისე ალექსანდრიაში და სუეცში. ინგლისელთა ჯარები დღითი დღე იზრდება. აფრიკის სანაპიროები თხრილებით დაჰქსელეს და შიგ ჯარები ჩააყენეს. აზიის სანაპიროებზე გზები გაჰყავთ ჯართა სწრაფ გადასაყვან-გადმოსაყვანად. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული სუეცის არხზე. არხთან დაუდგავთ პატარა, მაგრამ საშინელი მონიტორები, რომელნიც მეტ წილად დარდანელიდან გადმოუტანიათ. ზარბაზნები ყვითლად შეუღებნიათ, რათა უდაბნოს ფერი დაჰკრავდეს. მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე ინგლისელთ მესოპოტამიაში მოელისთ, სპარსეთის სამხრეთით, ინდოეთის საზღვარზე და ესეც არა ნაკლებს საგონებელში აგდებთ მათ, ვიდრე ეგვიპტის წინაშე მოღერებული მუშტი,

### „ჭაობის მგლები"

გერმანელთ ზურგთ უკან საქნეს უჭირვებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. განსაკუთრებით ბრესტ - ლიტოვსკის რაიონში გლეხობას ერთგვარ პარტიზანულ ბრძოლისთვის მიუმართნიათ. ჯგუფ-ჯგუფობით თავზე ესხმიან სადარაჯოებს, სპობენ სატელეგრაფო მავთულებს, ანგრევენ რკინის გზის ლიანდაგს და შემდეგ ტყეებში ან ჭაობებში იმალებიანო. გერმანული პრესა მათ „ჭაობის მგლებს" უძახის და შესაფერ ზომებსაც იღებს მათ მოსასპობად.

### დაპყრობილ პოლონეთში

რაც გერმანეთმა პოლონეთში ფეხი შესდგა, 6 ათასი კილომეტრი შარაგზები გაუყვანია, დაუარსებიათ 45 ამშენებელთა ბიურო, სადაც 1.100 ინჟინერი, მიწათ მზომელი, ხელოსანი და მეთვალყურე მუშაობს. მუშათა ხელი აღწევს 30 ათასს: ამ წლის დასაწყისამდე გერმანეთს დაუხარჯავს 20 მილიონი მარკა და 2.200,000 ტონა ქვა. ამის გარდა ინტენსიური მუშაობა ყოფილა რკინის გზების გასაყვანად და ხიდების ასაგებად.

### გაქვავებული ურჩხული

ჩინეთში უზარმაზარი გაქვავებული ურჩხული იპოვეს, სიგრძით 500 ფუტი. ეს ამბავი განსაკუთრებულ ყურადღებით იქმნა მიღებული, როგორც სიმბოლო ღვთაებრიობისა. პრეზიდენტ იუანშიკაის თავის პოლიტიკა ამ ურჩხულის პოვნაზე დაუმყარებია. როგორც ეს ურჩხული, ისე მონარქი გვევლინება ჩვენ დინასტიის საფუძვლის ჩასაყრელად მრავალსაუკუნეთა სარბიელისთვისაო. რადგანაც საღმრთო ურჩხული მდ. იანცზინთან აღმოაჩინეს, ეს განსაკუთრებულ წყალობად უნდა ჩავთვალოთო. ხალხისა, ჩემი და ღვთის სურვილი დღეიდან ერთი გახდებაო.

### მრეწველობის ახალი მიმართულება.

„Daily News"-ი იუწყება, ინგლისში განზრახული აქვთ შემოიღონ მრეწვე-

ლობის ისეთი დარგები, რაც აქნობამდე გერმანეთის მონოპოლიას შეადგენდა. ასე, მაგალითად, სურთ თვითონვე აკეთონ ელექტრიული აპარატები, ოფტიკური თუ უბრალო შუშები, ბოთლები და ფარფორი, დანებისა, ქაღალდისა და ბეჭვდითი წარმოება და მრავალი სხვა. ამას გარდა განზრახული აქვთ გარდასახადები შემოიღონ ისეთს საქონელზე, რაც კი გერმანეთიდან შემოვაო.

**მიტავაში.**

ცეცხლისაგან და ზარბაზნებისგან ყველაზე მეტად დაზარალებულა რკინის გზის რაიონი და ქალაქის განაპირა უბნები. სხვაფრივ ქალაქი აღადგინეს. განათება, ხიდები, რკინის გზებით დაქსელვა, სიცოცხლის განახლება სულ სხვა სახეს აძლევს ქალაქს. მთავარი შტაბი ციხე-დარბაზშია მოთავსებული, სავაჟო გიმნაზიის შენობაში. თეატრები და სანახაობანი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს ომი სულაც არ ყოფილაო.

**ფუფუნება და ალვირ-ახსნილობა.**

სიძვირისა და გაჭირვების გვერდით ამ ომში თავი იჩინა მეტმა ფუფუნებისადმი მისწრაფებამ და ფულის ფლანგვა-ალვირ-აშვებულობამ. დეპუტატთა ერთი ჯგუფი ეხლა ამ საკითხს დასტრიალებენ, თუ როგორ აილაგმოს ეს ორი დამღუპველი მოვლენა. ჰფიქრობენ, ომის დასრულებამდე აკრძალონ სამზღვარ გარეთიდან ისეთი ნივთების შემოტანა, რომელნიც ფუფუნებაში უწყობს ხელს. რაც შეეხება მეორეს, აქ კი ზომა ზომას სცილდება.

**„გამოქცეულთათვის!"**

გამოქცეულთათვის მილიონები იკრიბება, მაგრამ ხშირად არა გამოქცეულებიც „გამოქცეულთა" როლში შედიან და მონაკრებს იყოფენ. მოსკოვის საგუბერნიო ერობის მმართველობას დაჰკარგვია 900 ათასი მანეთი. ამის შესახებ შეეკითხნენ თავ. ვ. პ. ტრუბეცკოის, ამის მიზეზად რა უნდა ჩაითვალოსო. ტრუბეცკოიმ გამოიძია საქმე, მართლაც ხსენებული ფული აკლდა. მიზეზი ვერც ბრწყინვალე თავადმა აღმოაჩინა.

**კიდევ ლოვჩენის ისტორია**

„Idea Nat." ფრიად საინტერესო ცნობებს იძლევა ლოვჩენის ისტორიის შესავსებად: „მთაშავეთი ჯერ კიდევ გასულ წელს მოლაპარაკებას ჰმართავდა ავსტრიელებთან. მოლაპარაკება ისე ჰხდებოდა ემისართა წყალობით, რომ მის შესახებ არაფერი უწყოდა არც მთაშავეთის სამხედრო შტაბმა და არც მოკავშირეთა წარმომადგენლებმაო. მთაშავედის ბედი მარიამობისთვეშივე გარდასწყდა ქალ. ცეტინიეში.

**ომი და გარყვნილება**

„კიევსკ. მისლი" სწერს იმის შესახებ, თუ ომმა როგორ შეუწყო ხელი გარყვნილებას... წარმოიდგინეთ, თვითეული მაწანწალაც კი, ვისაც რაღაცა გროში მოეპოვება, თავს მოვალედ სთვლის მთავარ ქუჩაზე ჩამოიაროს და იყიდოს ბავშვი და სადმე ჯურღმულში წაათრიოს. როგორც სასამართლოს ცნობებიდან ირკვევა, ბავშვებით ვაჭრობა დღიდან დღე იზრდება გასაგიჟებელის პროგრესიით. წინად „ბავშვების" მოყვარულად ბობოლა და შეძლებულები ითვლებოდნენ. ეხლა ამ მიმართულებამ დემოკრატიაშიც იჩინა თავი. ბავშვების ფასი დღეს თითქმის ორ შაურამდე ჩამოვიდა. დიდებთან ეხლა პატარებსაც იყვანენ დუქნებში, კაბაკებში, სასტუმროებში, რესტორნებში, აბანოებში, ყავახანებში. ის, რაც უწინ შეძლებულ კლასის საკუთრებას შეადგენდა, დღეს ყველასთვის განაღდებულ თამასუქად იქცა, ჰაერი სულშემხუთავი საზიზღარი სუნით გაიჟღინთა"...

## უკანასკნელი ფოსტა

სამხედრო საქმის მცოდნენი აზრუმის აღებას ეხებიან და ამბობენ: აქ რუსის ჯარის გამარჯვებას ხელი შეუწყო სარაყამიშიდან პასინის მშვენიერი გზით მიბიდულმა მრავალრიცხოვანმა ზარბაზნებმა. აზრუმში იმყოფება 80 ათასი ოსმალო მეომარი. მათ უკან დასახევად ორი გზა აქვთ: ერთი ერზინგიანზე ცარგრადისაკენ, მეორე ტრაპიზონისაკენ.

დასავლეთიდან და სამხრეთიდან აზრუმის დასახსნელად ოსმალებს მაშველი ჯარები მოჰყავთ.

„ნოვ. ვრემია"-ში არგუსი სწერს: რომის პაპმა ინგლისის ეპოსელებს მოწოდებით მიჰმართა: ეცადეთ ინგლისი და გერმანეთი შეარიგოთ და რუსეთის ებრაელებზედაც გავლენა იქონიეთ, რადგანაც, თუ ცარგრადი რუსებს ჩაუვარდათ ხელში, დასავლეთის ცივილიზაციას განსაცდელი ელისო.

## ბრძოლის ველზე

ყველაზედ საინტერესოა აზრუმის გარშემო ატეხილი ამბები. გუშინწინდელი ოფიციალი ცნობა ცხრა ფორტის აღების შესახებ. ახალი ცნობა, რომელიც გუშინ წინ უფრო გვიან მოვიდა და მთელი ციხის აღებას გვაუწყებდა, სამართლიანად არის გადაქცეული საერთო ყურადღების საგნად. აზრუმი ერთად ერთი ბაზაა, რომელიც კვებავს კავკასიის ასპარეზზე მომქმედ ოსმალეთის ყველა ჯარს. სამარ მასალის ერთად ერთი საწყობი აზრუმია. იგია გამნაწილებელი პუნქტი. დამარცხებული ოსმალეთის ჯარი მყისვე აზრუმს მიაშურებდა და იქ შეაფარებდა თავს. აზრუმი ოსმალეთის ჯარის ერთად ერთი საიმედო ზურგი და ბურჯია. ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აზრუმისა ყველაზედ უკეთ, რასაკვირველია, თვით ოსმალეთს ჰქონდა გათვალისწინებული და თავის შეძლების ფარგალში ყოველ ღონეს იღონებდა მის უკედ გასამაგრებლად. 1914 წლის ნოემბერ-დეკემბრის ამბების შემდეგ აზრუმი განსაკუთრებული ყურადღების საგნად გადაიქცა, და რაც რამ ნაკლი და დეფექტები ჰქონდა თუ შეიარაღებისა, თუ კონსტრუქციის მხრით, გერმანელმა ოფიცრებმა შეავსეს. ასეთ ციხეზე მისი პატრონი ხელს ისე არ აიღებს, რომ არ გამოიჩინოს თავდადებ ბის და თავგანწირვის იშვიათი მაგალითები და თავისი უკანასკნელი მებრძოლი არ შეაკლას. ნამეტურ ისეთ პირობებში, რომელშიაც დღეს იმყოფება ოსმალეთი, რომლის ჯარები მესოპოტამიაშიც ომობენ, სპარსეთშიც და კავკასიაშიც.

მეგრი.

## თბილისი, 5 თებერვალი

ამ განცდის დროს ქართველმა ერმა გამოიჩინა თავისი მტკიცე, ისტორიულად გადმოცემული სულიერი კულტურის ძალა. და ხალხის მასაში ისეთმა სულიერმა განწყობილებამ დაიმკვიდრა, რომელიც სასოწარკვეთილებას და გულზე ხელის დაკრეფას კი არ ასწავლის, არამედ ჯანგაუტეხელ მხნეობისა ღ მუშაობის გაძლიერებისაკენ მოგვიწოდებს, რათა შევსებილ იქმნას ის მრავალი ნაკლი და დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია ცალკე უმინდობით და ცალკე მუშა ხელის გაკრეფით. ჩვენ ვხედავთ სოფლად კოოპერატივების ზრდა-გამრავლებას და ინტენსიურ ამუშავებას. შინ დარჩენილ ხალხის, გლეხობის აზრი და ხელი ინტენსიურად ამოქმედდა და ეკონომიური დოვლათის განმტკიცება-შექმნას შეუდგა. ხალხის ალღოს და შეგნებას განაპირად უჩნდებიან პატარ-პატარა ხელმძღვანელნი, სოფლად და პროვინციის ქალაქებში იზრდება ფხიზელი და მოქმედი პატარ-პატარა ჯგუფები—სამაგიეროდ ჩვენი გეოგრაფიული, კულტურული და პოლიტიკური ცენტრი—თბილისი — ამგვარ სასურველ თაოსნობას ვერ იჩენს. ჩვენს დედაქალაქში შეგროვილი ჩვენი ეროვნულ-კულტურულ-პოლიტიკიური ძალა, უმოქმედობას მოუცავს და თითქმის გაბათილებულია უცხო ელემენტის სიმრავლით. არა გვაქვს ერთი ცენტრალი შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდეს მთელი ქართველი ერის ორგანიზაციას და შეჯგუფებას ერთი ეროვნული იდეის და ერთი ეროვნული საქმის გარშემო. ეს არის ჩვენი სუსტი მხარე, რომელსაც აურაცხელი ზიანი მოაქვს თავისთავად შეგნებულ და ამოძრავებულ პერიფერიისათვის.

ამ ფუნქციის ასრულება გარემოებამ თითქოს საქველმოქმედო საზოგადოებას დაავალაო. ყველა სხვა საზოგადოება თუ დაწესებულება სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. საქველმოქმედო საზოგადოებამ სწორი ალღო აართვა მდგომარეობას და დაუღალავი ენერგიით შეუდგა საორგანიზაციო მოქმედებას: გახსნა თვისი ფილიალი განყოფილებანი, ამოძრავდნენ მის იურიდიული, სასურსათო ღ საექიმო სექციები, აჭარის დიდი საკითხი თითქმის მთლად მან დააწყა კისერზედ და ღირსეულადაც გაუძღვა, სურსათიც მრავლად მიაწოდა დამშეულ ხალხსა, წყალდიდობისაგან და ომისაგან დაზარალებულთაც მაშველი ხელი გაუწოდა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, მისი ინტერპარტიული და ინტერწოდებრივი შემადგენლობა თითქო პირდაპირ გზას დაადგა... მაგრამ უკანასკნელ დროს იგიც შესუსტდა თითქო და ქართველი საზოგადოება, ქართველი ერი ველარა ხედავს პირველ დაწყებით ენერგიას, რომელიც თანდათან უნდა გაზდილიყო, გაფართოებულიყო ღ ცხოვრების ყველა დარგზე გავრცელებულიყო. ამას წინად ჩვენს გაზეთში საყვედურიც კი დაიბეჭდა, რომ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის კრებებს—წევრები არ ესწრებიანო. სად უნდა იყოს დამარხული ყველა ამის მიზეზი, და სად უნდა ვეძებოთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? ნუ თუ აქაც თავი წამოჰყო კერძოობის პრინციპმა, რომ გამგეობის ზოგიერთმა წევრებმა ქვა და გუნდა მიაყარეს გამგეობის კრებებს? ასეთი ზნის გამოჩენა ეხლანდელს დროში ყოვლად შეუწყნარებელი საქციელია, რომელიც ეროვნულ დანაშაულობამდე მიდის. ამას უნდა ბოლო მოეღოს დღეს მაინც, როდესაც საერთო საქვეყნო საქმეა გასაკეთებელი და როდესაც საქართველოს პროვინციების ყურადღება ცენტრისკენ არის მიქცეული ღ მისგან ყოველ საქმეში საჭირო დირექტივებს მოითხოვს.

## ქართული პრესა

ბ-ნ არჩ. ჯ—შვილი ხანდახან საკამათოდ გამოდის. პატივი ვერ ვეცით, გავაწბილეთ. ბ-ნი ჯ—შვილი თავის „მოვალეობას" მაინც არ ღალატობს და არ გვაკლებს კამათის თავისებურ ნიმუშებს. არ გვინდა ბ-ნმა არჩ. ჯ—შვილმა ჩვენი დუმილი ისე გაიგოს, თითქოს მის წერილებს არ ვკითხულობდეთ და ჩამორჩენილი ვიყოთ ცხოვრების მიმდინარეობის შეგნებას! წავიკითხოთ მისი გუშინდელი „უნაყოფო დავაც" („სახ. ფურც." 494).

ავტორი აღძრულია იმ გარემოებით, რომ „საქართველოს" მიერ „სომხების ლანძღვა, ინტერესების შეჯგუფება განსაკუთრებით ეროვნული საკითხის გარშემო განსაზღვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს ზოგიერთ წრეებზე, უმეტეს წილად ისეთებზე, რომელნიც პოლიტიკურად აზროვნებას საზოგადოდ ჩვეულნი არ არიან"... ეს გარემოება აწუხებს ჟურნალისტს და რომ პოლიტიკურ აზროვნებას შეუჩვეველი წრეები ამ შთაბეჭდილების მაცდურებისაგან იხსნას, ბ-ნი არჩ. ჯ—შვილი მოჰყოლია ჩვენი ფარული შინაარსის გამომზეურებას. როგორც ყოველთვის, იგი იმას კი არ დაგიდევს, თუ რას სწერ, ამბობ, ან აკეთებ; იგი ფარულის აღმოჩენას ცდილობს, როგორც ცოდნის მოყვარე მკვლევარი!

რა ან ვინ უნდა იყოს „საქართველო"—აი საკითხი, რომელსაც იგი იძიებს... თავისებურის საყურადღებო მეთოდით.

ნამდვილი დემოკრატიზმი ევროპის(?) აზროვნებაში სოციალისტურ დემოკრატიზმად იქცაო". ეს ნამდვილი „აფრიკის" აზროვნებაა ევროპის სინამდვილის შესახებ.

სოციალისტ-ფედერალისტები ხომ სოციალისტები არიან, მაშასადამე ნამდვილი დემოკრატიული საქართველო მათი უნდა იყოს ჯ-შვილის ამ დებულების ძალით. რაც მათ გადარჩებათ, ის ქართველ მარქსისტებს მიაკუთვნა. ამ გვარად რაც სოციალისტურია დემოკრატიული და ეროვნული, ყველაფერი დაჭერილია, დაკავებული.

საქართველოში დარჩენილა კიდევ ერთი საპარტიო მასალა. ეს არის ზომიერი საქართველო. გაზეთი „საქართველო" ამ მასალას ვერ შემოიკრებს იგი არ არის ლიბერალური და ზომიერი მიმართულებისა. რისთვის?

ავტორი ჩვეულებრივ არ ერიდება თავის საყვარელ სიტყვა „ტალახს", არ ერიდება ინსინუაციებს და ასე ხსნის, ზომიერი მიმართულება თავის თავს ნებას არ მისცემს „ძირს დასცეს და ტალახში" ამოსვაროს ის მიმართულება, რომელსაც ხელში რადიკალურ სოციალ-ეროვნული დრამა უჭირავს. თუ რუსეთის საზოგადოებრივ ჯგუფთა ურთიერთობას გაითვალისწინებთ, **დარწმუნდებით, რომ არასოდეს კადეტი მთავრობის თვალის წინაშე არ დასცემს პრესტიჟს სოციალ-დემოკრატიისას და ტრუდოვიკისას—მიუხედავად იმისა**, რომ მათ შორის დიდი განსხვავება და ბრძოლაც არის. ამას მოითხოვს კადეტების პოლიტიკური ტაქტი".

შეგვიძლია, ბ-ნ ჯ—შვილს არ მოვსთხოვოთ მეტი სერიოზობა, მეტი ჩაკვირვება და სიღრმე ამა თუ იმ საზოგადო მიმართულების raison d'être-ის დასახასიათებლად! ამის შეღავათს მივსცემთ. მაგრამ იმას კი ვერ ვაპატიებთ, რომ დაივიწყოს რასაც თითონ თითქმის ყოველდღე სჩადის და რასაც ჩვენი სოციალისტური პარტიები აგერ 10—15 წელიწადია ეწევიან! ის დაუსრულებელი ლანძღვა-გინება, ერთმანეთის პრესტიჟის დაცემა, ცნობილი ალმანახები უკანასკნელ არჩევნების დროს, ცნობილი პასუხი ამ ალმანახებზე და სხვა და სხვ. თუ პატივისცემა და კილო გავიხადეთ კრიტერიუმად ამა თუ იმ მიმართულების არსებობის უფლებისათვის, მაშინ რას ეტყვით ან თავის თავს, ან ქართველ დასელებს. გამოდის თქვენივე ლოღიკით, მართებული და ზრდილობიანი კილო ზომიერების თვისება უნდა იყოს, მდაბალი და ლანძღვა-გინებისა კიდევ თქვენი, მემარცხენების. ამგვარ კილოს არავის მიმართულების ორგანიულ თვისებად არა ვსთვლით, ამას არც თქვენ გაკადრებთ და არც ქართველ მარქსისტებს. ეს პიროვნების უკულტურობის ნიშანია მხოლოდ. მაგრამ ამას თავი გავანებოთ.

ასეა თუ ისე არჩ. ჯ—შვილმა არც ეს „ზომიერი" მასალა მოგვაკუთვნა. და „საქართველო" საქართველოს გარეშე დასვა. ამ გრძნობით დაიძინეთ და მშვიდობიანი დილა გაითენეთ. ახალი რანდევუ თქვენ სრულ გამოფხიზლებამდე გადაგვიდვია.

## დეპეშები

(„საქართველოს" საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**„სომხური მოამბე"-ს ცნობებით ბათომის ოლქში თორმეტი ათასი გამოქცეული სომეხი დასახლებულა.**

—

**პავლე დოლგორუკოვი წინადადებას იძლევა დაარსდეს მოსკოვში რუსთა და სომეხთა საზოგადოება.**

—

**გერმანელებმა ფრანგებზე იერიშების მიტანას მიჰყვეს ხელი. გერმანელებს სხვა და სხვა მხრიდან მიაქვთ იერიში, რათა გამოსძებნონ უფრო სუსტი ადგილი ჯარის პირის აუცილებელ გასარღვევად.**

—

**ფარსისტანის ეროვნულ თავდაცვის კომიტეტმა თავისი თავი სპარსეთის დროებით მთავრობად გამოაცხადა.**

# სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო" № 25)

რა მიზეზითაა გამოწვეული ეს სამწუხარო მოვლენა, ჩვენ კარგად ვიცით. გლეხს მიანიჭეს პირადი თავისუფლება მაგრამ მიწა-წყალით-კი ვერ უზრუნველჰყვეს. გლეხი დროებით ვალდებულად გადააქციეს. მაგრამ ეს დროებითი ვალდებულობა და უმიწა-წყლობა გლეხს ისევ ისე მონურს მდგომარეობაში აყენებდა; მემამულე ისევ ისე ბატონობდა და გლეხს ძველებურად თავის სასარგებლოდ ამუშავებდა. ეს ბატონობა, რასაკვირველია, ახლა იურიდიულად უარყოფილ იყო, მაგრამ ეკონომიურ უპირატესობაზე ემყარებოდა...

ვილაპარაკოთ თვით დაინტერესებული გლეხი. ს. მგალობლიშვილის მოთხრობის ერთი გმიროაგანი აი რას ამბობს: „მოუსვლელობას ჯანი გავარდეს. ამბობენ, ბატონს ულმერთო ღალები შეუწერია სახნავებზე. როცა ერთი დღისააო, თურმე ორი დღისათ სწერავსო. აიჰ! არ ულხინოს იმის სიყრმეს ჩემმა წმინდა სალოცავებმა ჩვენის ცოდვით". („დედა მაია", გვ. 7).

მეორე გლეხი დასძენს: „ასე გავიგონე რო ბატონს ყანები და ქერები გაუწერიაო... სადღაა სამართალი, სადღაა ხატი; ქვეყანა, შვილოსანა, გაუკუღმართდა, ნატამალი სიბრალული არავისა აქვს ჩვენი კაცისა". (იქვე, გვერ. 13).

ბატონის ამ გადამეტებულ ღალას და ექსპლოატაციასაც გაუძლებდა საბრალო გლეხი, რომ კიდევ ბევრი სხვა მტრები არ ჰყავდეს. უმოქმედო და გაქსუებულ მემამულეს განუშორებლივ თან ახლავს მისი მოურავი. აი სწორედ ეს, უმეტეს ნაწილად ხალხის წრიდან გამოსული, მოურავია ხალხის სისხლის მწოველი. ხალხი ნათლად ხედავს, რომ ბატონი ისე არ სარგებლობს გლეხის წანართმევით, როგორც მისი მოურავი. ეს უკანასკნელი ხალხის „გამონაგლეჯისაგან" სიმდიდრეს იძენს, სუქდება, ხალხის „ნაგლეჯ-ნაძარცვით" სახლ-კარს გამოსჭიმავს, კურატივით სუქდება, შვილებს მამულ-დედულს უნაწილებს. („ღამის მეხრე ცეცო", გვ. 38).

ერთს ასეთს მოურავს გლეხი ცეცო ასე ახასიათებს: „ხალხო, უნდა შევიყარნეთ, ავიღოთ და დავიღოთ, ვარჩიოთ, რომ ეგ (ისააკ ბლუჩძელაშვილი) არ მოჰყვეს სასახლეში მოურავად. ხო გაგიგონიათ, რო არა გვზოგავს. ხო ჩვენი კაცია, ჩვენი სოფლის შვილია, ჩვენი მეზობელიც არის, მაგრამ ჩვენი სისხლის მწოველი კია. ჩვენი სისხლით გასუქებული კია" (იქვე).

სოსიკო მოურავი, როგორც მოთხრობილია „ჯორ-ზაქარაში", დათარეშობდა სოფლის პირუტყვ-საქონელზე: დახოცდა ინდოურებს, ქათმებს, დაიჭერდა კაი ლამაზ გათამამებულს და გალაღებულს, ღიჭით გასუქებულს კვერულა—ხბოს და მოემზადებოდა ბატონის სახლში ძველებურად სტუმრის დასახვედრად (გვ. 20).

მოუსმინოთ მთიელი სესეს,—ამ ძალად გაავაზაკებულ გლეხის კვნესას და ჩივილს: „ორჯელ უსამართლოდ ამიკლეს, ორჯელ გამომირეკეს ბაკიდან ვაინახრობით, სიყრმით მონაგარი საქონელი და გამიყიდეს. შე რჯულგავარდნილო ადამიანო, შე პირშაო და პირბნელო, რას მემართლები, პირში სულს რათ მიწყვეტ, პირში ლუკმა რადა გშურს ჩემთვისა, რომ მტყუანი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ცამდი მართალ კაცს რად მიხუთავ სულსა, ჰა? („მთიელი სესე", გვ. 10). ერთის სიტყვით, ცხოვრებამ ჩვენში შექმნა ტიპი ისეთის მოურავისა, რომელიც ცხენის წურბელას ჰგავს და ძღომა არ ეკიდება, ნახავს-რა სისხლსა. ბატონის სახლში ის ტკბილის ენით გლეხს იგონებს; როგორც უჯობს, ისე ატრიალებს საქმეს. ჩასუქებულ-ჩაკვრივებული დადის და მედიდურობს, („გმირისეული ქალი", გვ. 33).

გარდა მოურავისა, სოფელს სხვა მტრებიცა ჰყავს. ეს არის, სხვათა შორის, მამასახლისი. მამასახლისი სოფლელების აზრით, სრულებით გამოუსადეგარი და მასთან მავნე პირია. „მამასახლისი რისი მაჩანჩალაა, რისი მაქნისია, რას მიკეთებს?"—მსჯელობს გლეხი ცეცო. „ერთი ვიღაც ოხერი ჩამოიკიდებს ჯაჭვს, გასუქდება, სოფელს შეჭამს. ახლა სხვა, ახლა სხვა და სხვანი» (გვ. 24).

**სინიდისი და ადამიანობა მამასახლისს არ გააჩნია. ქრთამისთვის ისეთს** საძაგლობას ჩაიდენს, რომ წარმოუგენელია. აბა მისგან რა სამართალს უნდა მოელოდეს სოფელი? მეველე ტეტე ასე ამხელს პირში ასეთს მამასახლის: „ჩვენ ხო ვეცდებით და ვეცდებით, მარამა, მამასახლისო, შენ უნდა თვალი გქონდეს და! უნდა გითხრა, რომა სულ მოხელეები აბრიყვებთ და ათამამებთ ხალხს. ფიდუამ ის საქმეები უნდა ჰქნას, რასაც აქამდი სჩადიოდა შვილოსანა, ერთი ხელადა ღვინითა საყდარს დაგანგრევინეთ კაცი; საცა არა მგონია, იმის გუთნეულმა უნდა მოსძოვოს. საცა მყრალი კაცია, საცა ხოსამიანი და მგელა-კაცია თქვენ ხელს ნუ დააფარებთ, და ნახავ; რასაც წაიღებენ („მეველე", გვ. 12.) ამონაწერებიც გვიმტკიცებს, რომ ქართველი გლეხი არც ისე ყრუ და ბეცია, როგორც ეს მისი ყოფილ ბატონებს და მოხელეებს წარმოუდგენია. ცხადია, რომ ისიც მომხდარა, გრძნობს, თუ ვისგან და რისგან არის დაჩაგრულ-დაბეჩავებული. ბატონყმობამ, სიღარიბემ და გონებრივმა სიბნელემ ქართველი, მართალია, წელში გაღუნა და დააბეჩავა, მაგრამ სამუდამოდ ვერ გადუქნა, ვერ მოუსპო თანდაყოლილი და ისტორიულად განმტკიცებული თვისება—ადამიანური თავმოყვარეობა ხასიათის სიმტკიცე და უნარი თავის შელახულ-დამცირებულ პიროვნების დაცვისა, ქართველი გლეხი, რაც გინდ დაბეჩავებულ-გალატაკებული იყოს, მაინც მონად და პირუტყვად არ სთვლის თავს და, თუ მოთმინებიდგან გამოიყვანეს, აქტიურადაც მზად არის დაიცვას თვისი ადამიანური ღირსება, **ოჯახი, სიწმინდე და მამაპაპეული კე**რა. რადგანაც ს. მგალობლიშვილი თავის მოთხრობებში მხატვრულად არ აშუქებს ქართველ გლეხის ამ თვისებას, ამისათვის ჩვენც არ შეუდგებით ამ ფაქტის ისტორიულად ახსნა-განმარტებას.

ჩვენ აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ გეოგრაფიულმა, ისტორიულმა და სოციალურმა პირობებმა შეჰქმნეს და გამოსჭედეს ის ძირითადი თვისებები ქართველის ხალხისა, რომლითაც, სხვათა შორის, ის ასე ძირითადად განირჩევა, მაგალითად, რუსის ხალხისაგან. როგორც წინედაც აღვნიშნეთ (იხ. „განათლებაში" ჩვენი წერილი: „თ. რ. ერისთვის პოეზია"), შემცდარია, სინამდვილეს ღალატობს პოეტი რ. ერისთავი და მასთან ერთად ზოგიერთი სხვაც, როდესაც ჩვენი გლეხი გამოჰყავთ უკიდურესად მომთმენი, ბედის მორჩილ და უპროტესტო არსებად.

ამ შემთხვევაში ს. მგალობლიშვილს უფრო სწორედ წარმოუდგენია ჩვენი გლეხის სულიერი თვისება. თავის მოთხრობებში მწერალი თანდათანობით, პირობების მიხედვით, თვალწინ გვიშლის ქართველ გლეხის ძირითადი ხასიათის გამომჟღავნებას და გამოაშკარავებას. პირველ მოთხრობებში ს. მგალობლიშვილი აღნიშნავს გლეხის ყრუ უკმაყოფილებას, შიშნარევ და გაუბედავ პროტესტს. მერე კი თანდათან, რაც უფრო ახლო დროს შეეხება მისი მოთხრობები, ს. მგალობლიშვილის გლეხი თამამად გამოდის აქტიური პროტესტის და თავდაცვის გზაზე. რასაკვირველია ახალმა დრომ და ცხოვრების ვითარებამაც ხელი შეუწყვეს ქართველ ხალხის სულიერ ძალთა აშკარად გამოჩენას, მხოლოდ საყურადღებო ის არის, რომ მას ძლიერ ცოტა დრო დასჭირდა რომ შეეგნო ღირსება ადამიანის პიროვნებისა, გაეთვალისწინებინა მიზეზები ეკონომიურის უთანხმოებისა და აქტიურად გამოსულიყო ამ უთანასწორობასთან და უსამართლობასთან საბრძოლველად.

თუმცა ქართველი გლეხის ბრძოლა უსამართლობასთან მისი მოწინააღმდეგე ძალების სასარგებლოდ თავდება, თუმცა გლეხი ჯერ კიდევ იჩაგრება, მაგრამ ამავე დროს თვით მისი მტრებიც გრძნობენ, რომ მასთან ბრძოლა სახიფათოა, რომ სოფელი ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული გამოვა (იხ. მოთხრობა „ჯორ-ზაქარა") საბოლოო გამარჯვებას თვით გლეხიც გრძნობს. „კაცო, სოფელს რა გაუძლებს,—ამბობს ერთი გლეხი,—დეე, დაგვხვრიტონ, დეე, გვარბიონ, გვაწამონ, ერთი მაინც დარჩება სოფელში მძევლად, აი ეს მძევლი ისეთს ყლორტს ამოხეთქავს, ძლიერ ყლორტებს სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგიდგან, რომ მისი მოსპობა არაფრით აღარ შეიძლება". (ჯორ-ზაქარა", გვ. 68). ამის შემდეგ რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენი სოფელი ბლომად ზრდის თავისუფლების მომხრე და მჩაგვრელთა მოძულე პიროვნებებს, რომლებიც მზად არიან შეებრძოლონ პირად შეურაცყოფას დარბევას და დაჩაგვრას, არამედ საერთო სასოფლო საქმისათვის თავი დასდონ.

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

„პეტრ. ვედ.“-ში მოთავსებულია საგულისხმიერო **წერილი ნ. დურნოვოსი**, რომელსაც სახვალიო ნომერში მოვათავსებთ.

**✦ აზრუმის აღება.** გუშინ-წინ, როდესაც აზრუმის აღების ამბავი მოვიდა, ნაშუადღევის, 5 საათიდან, თბილისის ქალაქის გამგეობასთან დიდძალი ხალხი შეიკრიბა. აქ უკრავდა ზურნა. ხალხი მოლოდინში იყო. გამოვიდა ქალაქის მოურავი ალ. ხატისოვი და აღფრთოვანებით მიულოცა შეკრებილ ხალხს აზრუმის აღება **სომხურად.** სთხოვა, მცირე ხანს მოითმინეთ, სამადლობელ პარაკლისს გადავიხდით და მერე სასახლისაკენ წავალთ მეფის ნაცვლის მისალოცადაო. ხუთი წუთის შემდეგ გამგეობის წევრმა **რუსულად** მიულოცა შეკრებილ ხალხს აზრუმის აღება. საგულისხმოა, რომ ქართულად არავის არ უთქვამს.

**✦ ობოლთა თავშესაფარი.** ეპისკოპოსმა მესროფმა ამერიკის თბილისელ კონსულის ხელით მიიღო სომხეთა დაწხმარე ამერიკის კომიტეტისაგან 5,000 მან. ეპისკოპოსი მესროფი ამ ფულით აპირებს ობოლთათვის თავშესაფარის გახსნას, რომლის შემდეგ შენახვას აღნიშნული კომიტეტი კისრულობს.

**✦ შემოიტანეს** 1 თებერვალს: ფქვილი 34 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., მაზუთი 8 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ქერი 251 ფუთი, ლობიო 226 ფუთი.

**✦ ჟურნალის განახლება.** ამ დღეებში განახლდება დროებით შეჩერებული სომხური ყოველთვიური მხატვრული ჟურნალი „გეხარკესტ“ (ხელოვნება“).

**✦ გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 3 თებერვალს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 162, ხუნაგიანი 23, სახადიანი 24, საოფლიანი 12, მუცელაიანი 1, წითელი ქარიანი 1 და მენინგიტიანი 2 კაცი.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ იანვრის ნომერი.

**✦ შეწირულება.** თავადმა იასონ დავითის ძემ ციციშვილმა კუკიის უფასო სამკითხველოს ერთი წლით გამოუწერა გაზეთი „საქართველო“.

**✦ დღესასწაული ქალაქის გამგეობაში.** გუშინ, 4 თებერვალს, ქალაქის გამგეობაში დღის 12 საათის შემდეგ მუშაობა აღარ ყოფილა აზრუმის აღების გამო.

**✦ წირვა და პანაშვიდი.** 3 ამა თვეს მისიონერთა ეკლესიაში საქართველოს ექსარხოსმა პლატონმა წირვა და პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ გრაფ ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვის სულის მოსახსენიებლად. ჰგალობდა ბავშვთა გუნდი კოტე ჩარკვიანის ლოტბარობით. ეგზარხოსს ძალიან მოეწონა გალობა და მადლობა უთხრა ბ-ნ ჩარკვიანს.

**✦ მოხელის გაცილება.** სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი მალინოვსკი, რომელიც შიდა რუსეთში იქმნა გადაყვანილი ამავე თანამდებობაზე, 3 თებერვალს გააცილეს მისმა ყოფილმა ხელქვეითებმა.

**✦ ხარფუხის კლუბი** ისევ თავის ბინაზე გადავიდა (აპოლოსეული შენობა), რადგან ეს შენობა სამხედრო მთავრობისთვის საჭირო აღარ დარჩა.

# წერილი პეტროგრადიდან

(საკუთარი კორესპონდენტის ცნობები)

28 იანვარს პეტროგრადში საგანგებოდ დაიბარეს ცნობილი მწერალი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც მიტროპოლიტ პიტირიმის თხოვნით ალექსანდრე-ნეველის ლავრაში დაბინავდა.

როგორც აღმოჩნდა, ახალი პრემიერი შტიურმერი დიდი ხანია თვალყურს ადევნებს, თურმე, ნ. ნ. დურნოვოს წერილებს „პეტროგრ. ვედ.“-ში და საეკლესიო საკითხებში მის აზრს იზიარებს.

ეხლა, თურმე, დურნოვო იმისთვის დაიბარეს პეტროგრადში, რომ დიდი თანამდებობა ჩაებარებინათ უწ. სინოდში. დურნოვომ ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა, თუმცა უმაღლეს წრეებში ცნობილი იყო მისი კანდიდატურა.

ნ. ნ. დურნოვოს უმაღლეს წრეებისათვის წარუდგენია მოხსენებანი საერთოდ საეკლესიო საქმეების თაობაზე და კერძოდ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

მიტროპოლიტი პიტირიმი და ნ. ნ. დურნოვო საუკეთესო განწყობილებაში იმყოფებიან.

„რეჩ“-ის ცნობით ვითომც მიტროპოლიტი პიტირიმი დეკ. ვოსტორგოვს შეჰრიგებოდეს, სიმართლე არ არის. ვოსტორგოვი, მართალია, ცდილობდა დაახლოვებას, მაგრამ მიტ. პიტირიმი კარგად იცნობს ვოსტორგოვის გულის ყოველ ნადებს. ვოსტორგოვის გავლენა, გაზეთების ცნობების მიუხედავად, დაეცა, თუმცა მას მხარს უჭერენ საქართველოს ეკლესიის მტრები.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ნ. ნ. დურნოვო უკვე ოცი წელიწადია, თურმე, „პეტრ. ვედ.“-ში წერილებს ათავსებს და ამ გაზეთის რედაქტორი თ-დი ე. ე. უხტომსკი პირადად მხოლოდ ეხლა, 29 იანვარს გაიცნო.

**პეტროგრადელი ქართველი.**

# ქალაქის თვითმართველობა თუ ეროვნული ბიურო?

ვინა აქცევს ყურადღებას ქალაქის თვითმართველობის ნამდვილ საქმიანობას? ვინა მიაქცევს ყურადღებას ასეთ „წვრილმან“ საკითხებს როგორც ქალაქის მოვლა პატრონობის კითხვებია?

ქ. თბილისი დღეს ბუდეა საშინელ სიბინძურისა, ათასგვარ გადამდებ სენისა, სიძვირისა, უხორცობისა, უშაქრობისა და სხვა და სხვა ჭირისა.

რომელი ხატისოვის ხმოსანი ამ წვრილმანებს გამოუდგება?..

და როდესაც თვითმართველობის მორიგ სხდომებს თქვენ ესწრებით, სწორედ ასეთ შთაბეჭდილებით გამოდიხართ:

ქ. თბილისს და მის 400.000 მცხოვრებს პატრონი არ ჰყავს!

და არც საკვირველია. დღევანდელი ქალაქის თვითმართველობა,

გუშინ წავიკითხე ანგარიში ქალაქის თვითმართველობის უკანასკნელ სხდომისა:

გარდაიცვალა ვიღაცა სომეხი აივაზოვი და შესწირა ქალაქს ხუთ სართულიანი სახლი (ყოფილი თავ. ერისთავისა, ბროსეს ქუჩაზე) და სხვა ქონება 700.000 მ. ღირებული.

ერთის პირობით: რომ ამ თანხის საშუალებით ქალაქმა გაზარდოს თბილისში მცხოვრები, მხოლოდ **სომხის ახალგაზრდობა განურჩევლად ქვეშევრდომობისა.** თანვე დაურთო: ამ ამ ანდერძის აღსრულებას, თბილისის ქალაქის თვითმართველობის მიერ, სომხის კათოლიკოსმა თვალყური უნდა ადევნოსო.

აქამდის თბილისში ბევრი სხვა ტომის ხალხი კვდებოდა და არა ერთს და ორს უანდერძნია ქალაქისათვის თავისი ქონება.

მაგრამ არც ერთი ანდერძი ასე პოლიტიკურ ტაქტს მოკლებული იყო, როგორც განსვენებულ აივაზოვისა.

თბილისში ქართველებიც გადაცვლილან და არა ერთხელ შეუწირნიათ თბილისისათვის სახლები და თანხები, მაგრამ გვიჩვენონ ერთი მაგალითი, რომ ქართული ანდერძი ამ შემთხვევაში გასცილებიყოს პოლიტიკურ ჯენტელმენობას?

ქართველები სწირავდნენ და ეხმარებოდნენ **ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.**

ნუთუ ზუბალაშვილების და სარაჯიშვილების საუცხოვო პოლიტიკური ტაქტის მაგალითები არაფერს არ ეუბნებოდა იმ სომეხთა მოღვაწეებს თბილისის თვითმართველობიდან, რომლებმაც არა თუ რაიმე უხერხულობა არ იგრძნეს აივაზოვის ანდერძის კითხვის დროს, პირიქით, ქვა და გუნდა მიაყარეს ერთ ქართველ ხმოსანს, რომელმაც გაბედულად ხმა აღიმაღლა და თავაზიანი პროტესტი განაცხადა ასეთ ანდერძების მიღებაზე.

და ამ დაღის აღმოფხვრას არც მილოვისთანა „ზალოგები“ უშველის.

მას თუ უშველის ერთი რამ:

სრული გადადგომა მთელ იმ თვითმართველობის ბანაკის ნაწილისა, რომელმაც თავის საზღვარ გადასულ უტაქტობით და უნიათობით შეჰქმნა საზარელი უსაქმურობის, შუღლის და სიძულვილის ატმოსფერა სხვა და სხვა ეროვნების მცხოვრებლებთა შორის.

სომხებსაც ჰყავთ თავისი კეთილშობილი მინასიანცები...

ხატისოვების მოძულეთა პოლიტიკამ უნდა გზა დაუთმოს მინასიანცთა ალლო აღებულ დ სომხის ერისთვის სასარგებლო პოლიტიკას.

ეს პოლიტიკა კი, აშკარაა, განდევნის თბილისის თვითმართველობიდან გამეფებულ პოლიტიკურ ავანტიურიზმს, ზრდილობიანათ მოიქცევა და მოექცევა იმ ერს, რომლის მიწა-წყალზედ და რომლის ცენტრში მან დროებით შეაფარა სომხის ერის ტანჯული თავი.

**ეკალი.**




# აზრუმის აღების გარშემო

## პეტროგრადი

3 თებერვალი. უქვეშევრდომილესი დეპეშა კავკასიის უავგუსტოეს მეფისნაცვლისა:

**„ღმერთმან ძლიერმან ზევაუკაცური შველა მისცა ჩვენს კავკასიის მხედრობას და ხუთი დღის განუწყვეტელი უმაგალითო იერიშების შემდეგ აზრუმი აიღეს. გამოუთქმელი ბედნიერებით ვაცნობებ ამ ამბავს თქვენს იმპერატორობით დიდებულებას.**

**ნიკოლოზი.**

## უმაღლესი მილოცვა

**„აზრუმის აღების გამო, კავკასიის არმიის უავგუსტოესი მთავარ-სარდალი ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი დეპეშით გააბედნიერა: თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, გილოცავთ თქვენ და კავკასიის არმიას აზრუმის აღებას. გიხოვთ ჩემი მხურვალე მადლობა გადასცეთ უაღრესად სახელოვან ჯარს, რომლის გმირობამაც მთელს რუსეთს სიხარული მოჰფინა ოსმალთა სიმაგრეზე მიტანილ მარჯვე იერიშით.**

**ნიკოლოზი“**

სწორეა: კავკასიის არმიის შტაბის მორიგი აფიცერი, პორუჩიკი კალიშევი.

**აზრუმის აღების გამო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავად აფხაზმა მიმართა უერთგულესის მილოცვით კავკასიის მხედრობის უავგუსტოეს მთავარსარდალს, რაზედაც მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ინება და შემდეგის დეპეშით უპასუხა:**

**„თბილისის თავად-აზნაურობის მილოცვა აზრუმის აღების გამო და მისი რწმენა, რომ უფალი ღმერთი კვალადაც არ დასტოვებს კავკასიის მხედრობას თავისის დიდის მოწყალებით,—ღრმად შთამებეჭდა გულში, რომლის სიღრმიდან ვუგზავნი თბილისის თავად-აზნაურობას მხურვალე მადლობას.**

**გენერალ-ადიუტანტი**
**ნიკოლოზი.**

**დღესასწაული სასწავლებლებში.** აზრუმის აღების გამო თბილისის ყველა სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილია მომავალ ორშაბათამდე.

ქალაქის მოურავმა ა. ი. **ხატისოვმა** მისალოც დეპეშაზე, რომელიც თავისს და თბილისის მცხოვრებთა სახელით გაუგზავნა **მეფის ნაცვალს დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს** აზრუმის აღების გამო, შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა მიიღო მისი უმაღლესობისაგან: „გულით ვმადლობ თბილისის ყველა მცხოვრებთ მილოცვისათვის ოსმალთა სიმაგრის აზრუმის აღების გამო. ჩემთვის სასიამოვნოა ის, თუ თბილისის მცხოვრებლებმა როგორ დააფასეს გმირობა კავკასიის მხედრობის, რომელსაც უფალმა არგუნა ასეთი დიდებული გამარჯვება“.

ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ხატისოვმა აგრეთვე შემდეგი პასუხი მიიღო **გენერალ იუდენიჩისაგან** თავის მისალოც დეპეშაზე:

მე და კავკასიის მხედრობა დაპყრობილ აზრუმის კედლებიდან აღფრთოვანებულ სალამს ვუძღვნით თბილისის მცხოვრებთ.

**დღესასწაული თბილისში.** აზრუმის აღების გამო თბილისში დიდი დღესასწაული გაიმართა. 3 ამა თვეს, საღამოს, სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და მოსწავლენი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ მეფის ნაცვლის სასახლესთან და თავიანთ სიხარულს აცხადებდნენ. გუშინ, 4 ამა თვეს, რიგიანად მუშაობა არც ერთ დაწესებულებაში არ ყოფილა, ყველა მოსამსახურენი ანუ ერევნის მოედნისკენ მიიჩქაროდნენ, ანუ ფანჯრებიდან უყურებდნენ პროცესიას. ნაშუადღევის 2 საათიდან ამქრებმა, რომელთაგან ბევრნი აქლემებზე იჯდნენ, თბილისის რამდენიმე ქუჩა გაიარეს ბაირაღებითა და დუდუკით.

## სამადლობელი პარაკლისი

აზრუმის აღების გამო გუშინ, დღის 12 საათზე ერევნის მოედანზე სამადლობელი პარაკლისი იქმნა გადახდილი. პარაკლისი შეასრულა საქართველოს ექსარხოსმა პლატონმა, ერევნის ეპისკოპოსის ლეონტისა, ბაქოს ეპისკოპოსის გრიგოლისა, სოხუმის ეპისკოპოსის სერგისა, გორის ეპისკოპოსის ანტონისა და ალავერდის ეპისკოპოსის პიროსის თანამსახურებით. დაესწრნენ: მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი მეფის ნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, პეტრე ნიკოლოზის ძე, ანასტასია ნიკოლოზის ასული და რომანოზ პეტრეს ასული; თბილისის გუბერნატორი სტრახოვსკი, კავკასიის ოლქის მხედრობის უფროსი გენერალ-ლეიტ. ვოლსკი, თბილისის კომენდანტი, ქართველ თავად-აზნაურთა მარშლები, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი, მოქალაქეთა მამასახლისი, ხელოსანთა მოურავი და სხვ. დაწესებულებათა წარმომადგენლები; მხედრობის ნაწილები, თბილისის სასწავლებელთა მოსწავლენი და აღმზრდელნი მუსიკითა და ბაირაღებით, თბილისის ამქრები თავიანთ დროშებით და აუარებელი ხალხი. ერევნის მოედანი და სასახლის ქუჩა ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, მიულოცა-რა აზრუმის აღება, გრძნობიერი სიტყვა უთხრა მისს იმპერატორებითი უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. ხალხი დიდხანს არ დაშლილა ერევნის მოედანზე.

# ე. ჩერქეზიშვილის საიუბილეო დღესასწაული

2 თებერვალს სახაზინო თეატრში ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალედ იდღესასწაულა ჩვენი სცენის ქურუმ ქალ. ელ. ჩერქეზიშვილის 30 წლის მოღვაწეობა. მსახიობმა სადღესასწაულოდ დადგმულ პიესებში მთელი თვისი ნიჭი გვაჩვენა, განსაკუთრებით ფროშარის როლში (ორი ობოლი) და ი. ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილში“.

მაგრამ საზოგადოება ამ დღეს უფრო მის დასადაფნად იყო მოსული, ვიდრე მის ხელოვნების სანახავად. ამიტომაც მხურვალე ტაშის გრიალს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მისალოცად ფარდა აიხადა და სცენაზე მიმლოცველთა დასი გამოჩნდა. მსახიობი, დეპუტაციები, მუსიკა, მილოცვები, საჩუქრები, მადლობის ცრემლები ავსებდა მოდღესასწაულეს. მან სიტყვაც კი ვერ იპოვნა, რომ მღელვარებისთვის დაეძლია და მადლობით მიემართნა საზოგადოებისთვის. ან რა საჭირო იყო: მადლიერი საზოგადოება ქრთამს არ ითხოვდა, მისთვის დღეგრძელობა და ჯანმრთელობა ჩვენი საყვარელი მსახიობისა ყოველს სიტყვაზე უძვირფასესია და იქნება კიდეც.

საზოგადოება მხოლოდ 5 საათისთვის დაიშალა.

**X.**

# სავაჭრო-სამრეწველო ბანკი

განზრახულ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა კრებაზედ დაადგინა, მოიწვიოს თბილისში 20 თებერვალს საორგანიზაციო კომიტეტის დელეგატთა კრება შემდეგი საგნების გადასაწყვეტად: 1) ბანკის გახსნის შესახებ საქმის ეხლანდელი მდგომარეობა, 2) შესაძლებელია თუ არა ბანკი გაიხსნას ომის დასრულებამდე, 3) მოსახერხებელია თუ არა, ეხლავე შეუდგნენ ძირითად თანხის 40 პროცენტის შეგროვებას და როდის დაინიშნოს ფულის შეგროვებისათვის შესაფერისი დრო.

ამისათვის მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა შემდეგი შინაარსის წერილები დაუგზავნა სარაიონო საორგანიზაციო კომიტეტს:

გთხოვთ მოიწვიოთ ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა კრება, გამოირკვიოთ ადგილობრივ საქმის ვითარება, გაითვალისწინოთ ბანკის აქციონერთა ქონებრივი მდგომარეობა (გაუმჯობესდა ეს მდგომარეობა, თუ შესუსტდა. რამდენი აქციონერია გაწვეული ომში, ანუ სხვაგან წასული). შესძლებენ თუ არა ადგილობრივი აქციონერები დანიშნულ დროზე შემოიტანონ თანხის 40 პროც., ე. ი. თითო აქციაზე 100 მანეთი. შემცირდება თუ არა ძველ აქციონერთა რიცხვი. იქნებიან თუ არა თქვენს რაიონში მსურველნი ახალ აქციონერებისა. ამასთანავე გთხოვთ აირჩიოთ რწმუნებული, ერთი ანუ რამდენსაც საჭიროდ სცნობთ, და გამოგზავნოთ თბილისში 20 თებერვლისთვის დელეგატთა კრებაზე დასასწრებლად. გატყობინებთ, რომ მთელი ჯამი, რომელიც შედგა ძირითადი თანხის 10 პროცენტისაგან, უდრის 300.000 მანეთს და ინახება, ფინანსთა მინისტრის ნებართვით, ვოლგა-კამის ბანკის თბილისის განყოფილებაში, რომელიც გვაძლევს 5 პროცენტს. როდესაც შეგროვდება კიდევ 40 პროც. ძირითადი თანხისა, მაშინ გვექნება სულ 1.500.000 მანეთი და მაშინ ნება გვექნება გავხსნათ ბანკის მოქმედება. წესდების დამტკიცების შესახებ სამინისტრომ უკვე გამოსთქვა თანხმობა, მხოლოდ მოითხოვა, რომ წინდაწინვე შეგროვდეს თანხის 50 პროც. წესდების დამტკიცების შემდეგ ბანკი უსათუოდ უნდა გაიხსნას 6 თვის განმავლობაში.

# ქალაქის საბჭო

(დასასრული)

**ხარჯთ-აღრიცხვა**

კრება დაუბრუნდა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას, განიხილა და დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვის VII—IX თავი. ქუჩებისა და ქვაფენილების შესაკეთებლად გადადებულ იქნა 117.800 მანეთი, მუშებისათვის ბინების მოსაწყობად 4.028 მან.

**ვერის პარკი**

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ვერის პარკის შესაზღუდავად ხარჯის გაწევის შესახებ საკითხმა. ეს პარკი შარშან წყალდიდობამ სულ ერთიან წალეკა და დიდი ზარალი მიაყენა როგორც მოიჯარადრე დიმიტრი ლოლაძეს, აგრეთვე ქალაქსაც. შემდეგ ამ პარკის შესაზღუდავად წყალდიდობისაგან და გასამშვენიერებლად ქალაქმა კარგა ბლომა ფული დახარჯა. მაგრამ როგორც სჩანს, გაწეული ხარჯი საკმარისი არ ყოფილა და მტკვარი ხელახლა განადგურებით ემუქრება პარკს. ამიტომ ქალაქის თვითმართველობამ ეხლავე თუ არ მიიღო შესაფერისი ღონის ძიებანი, ქალაქი ორნაირ ზარალს ნახავს: ჯერ ერთი რომ მტკვარი სულ მოსწყვეტს პარკს და ამოდენა ადგილი დაიკარგება და მეორეც მოიჯარადრე ბ-ნი ლოლაძე [illegible] ძალით ზარალს [illegible] ქალაქს. ამიტომ საბჭომ, ნაცვლად გამგეობის მიერ ნავარაუდევ 10,000 მანეთისა, ჯერ-ჯერობით 15,000 მანეთი გადასდვა აღნიშნულ საქმისთვის.

**სასაკლაოს გარშემო.**

კამათი გამოიწვია სასაკლაოს ხარჯების განხილვამაც. ხმოსნებმა აღნიშნეს სასაკლაოზე არსებული უწესობანი და სასაკლაოს ანტისანიტარული მდგომარეობა, უვარგისობა, ნ. ე. არღუთინსკისა, როგორც სასაკლაოს დირექტორისა, და გამგეობის მხრივ მომეტებულ ყურადღებას თხოულობდნენ სასაკლაოსადმი. ქალაქის მოურავი დაეთანხმა ხმოსნებს და მანაც აღიარა სასაკლაოზე გამეფებული უწესოებანი, მაგრამ აღუთქვა საბჭოს, ვეცდები ნაკლი გასწორდესო და აგრეთვე პრესას და ხმოსნებსაც სთხოვა დახმარება. სასაკლაოს ხარჯების დასაფარავად გადადებულ იქმნა 173,000 მანეთი.

ელექტრონის სადგურის შესანახად გადაიდვა 97,313 მანეთი და სახალხო განათლების საქმისათვის 486,043 მან.

ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს მცირედი ინციდენტი მოხდა. ბაგ. მოს. მირიმანოვი, რომელიც, როგორც გარეშე მაყურებელი, საბჭოს თითქმის ყველა კრებას ესწრება და მდივნის მაგიდის უკან ზის, მივიდა პართენ გოთუასთან და მაღალი ხმით საყვედურს უცხადებდა იმის გამო, რომ ის (გოთუა) აივაზოვის ანდერძის წინაალმდეგი იყო. ამ დროს დარბაზში შემოვიდა და თავისს ადგილისაკენ დასაჯდომად გაექანა ხმ. ა. ს. ბაბოვი. ბ-ნ მირიმანოვის ლაპარაკს რომ ყური მოჰკრა, ბ-ნი ბაბოვი თავმჯდომარეს შეეკითხა,—ვინ არის ეს კაცი, რომელიც აქ გვიშლისო. თავმჯდომარემ უპასუხა: მანდ პრესის წარმომადგენლებისთვის დადგმულია მაგიდა და დარწმუნებული ვარ, რომ მანდ მჯდომნი ყველანი პრესის წარმომადგენელნი უნდა იყვნენო. ბ-ნმა ბაბოვმა მიუგო, პრესის წარმომადგენლებზე არ გეკითხებით, ამათ მე კარგად ვიცნობ, მე გეკითხებით, აი, ამ კაცზე (უჩვენა მირიმანოვზე), რომელიც ჩვენს კრებას არ აკლდება და მუდამ ხელს გვიშლისო. მაშინ თავმჯდომარემ განაცხადა: ქალაქის მდივანს ვთხოვ შემდეგ კრებაზე ბარათები მოსთხოვოს საბჭოს დარბაზში შემომსვლელ არა ხმოსანთო.

# რუმინეთის პოზიცია

მთელი ქვეყნის ყურადღება სამართლიანად არის მიქცეული რუმინეთისაკენ, რომლის გეოგრაფიული მდგომარეობა, პოლიტიკური და სამხედრო ძალის სიმძიმე საკმაოდ ღირს-შესანიშნავია, რომ ანგარიში გაუწიონ ისეთმა დიდმა კავშირებმაც კი, როგორიც არის გერმანეთ-ავსტრია-ბულგარეთ-ოსმალეთი ერთის მხრით და ინგლის-საფრანგეთ-რუსეთი მეორეს მხრივ. თავისთავად, მშვიდობიანობის დროსაც თუ ერთგვარი ღირებულება ჰქონდა ამ სახელმწიფოს, ეხლა იმდენად გაიზარდა, რამდენადაც მისი ხმლის შეგდება დაჭიმულ საომარ სასწორზედ—გადამხრელი იქმნება უეჭველისა! ნახევარ მილიონი ჯარი, ხიშტებით აქოჩრებული, შავი ზღვის იმ კუთხეში, საცა უნდა მიბჯენილი იყოს ძალოვანი თათი ორ მებრძოლ ვეშაპისა—იმ ეკლის როლსა თამაშობს, რომელზედაც ფეხის დადგმა—დააკოჭლებს და „სალმას“ გამოსდებს. რუმინეთი ყოველთვის აღლოიანი პოლიტიკოსი იყო და ეხლაც სარგებლობს თავისი მდგომარეობით, ყველას თვალში ეჩხირება ეკალივით, მაგრამ არავის მხარეზედ არ გადადის. და არც გადავა, სანამ მეომარნი ერთმანეთს საბოლოოდ არ დაასუსტებენ. თუ რუმინეთს ალღო არ დაუკარგავს, შეუძლებელია მივიღოთ ის აზრი, ვითომ რუმინეთი იქით გადაიწევს, საითაც გადაჭრილ გამარჯვებას დაინახავსო. პირიქით სალი ალღო უნდა უკარნახებდეს იმ მხარეზედ გადასვლას, რომელიც უფრო მოისუსტებს, რომ ძალთა შეჯახების წონასწორობა არ დაირღვეს... რადგან ერთი მხარის გამარჯვებაც და მეორისაც მისთვის საზარალო იქნება. დიდი და ძლიერი სახელმწიფოს და მით უფრო „კავშირის“ ყოლა საზღვრებზედ მეტად სახიფათო მოვლენაა, რომ რუმინეთმა თითი გაანძრიოს ან ერთის და ან მეორის სასარგებლოდ. გერმანელთა კავშირი ისევე ემუქრება პატარა ერების თვითარსებობას, როგორც მათი მოწინააღმდეგე კავშირი და სწორედ რუმინეთის ჭკვიანურ პოლიტიკას უნდა მიეწეროს მისი აქამდის სიჩუმე. თუ ამ ომამდის ვისმეს შეეძლო ეფიქრნა, დიდი სახელმწიფოს მფარველობა სასარგებლოა პატარისათვისაო, დღეის იქით—ბელგიის, სერბიის, ჩერნოგო-

რიის, საბერძნეთის, ეგვიპტეს და სხვათა ბედი ნათლად უნდა აჩვენებდეს რუმინეთის ხელმძღვანელთ, რომ ასეთმა პოლიტიკამ პატარა სახელმწიფოებისამ ფიასკო ნახა. ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ რუმინეთი არ გასცვლის დღევანდელ ძვირფას პოზიციას, როცა მას ელოლიავებიან ძლიერნი ამა ქვეყნისა,—ისეთ პოზიციაზედ, როცა ერთი ან მეორე კავშირის ჯარები გადასთელავდნენ მის ველმინდორსა. შეიძლება რომელიმე მხარემ აიძულოს რუმინეთი გამოვიდეს საბრძოლველად, მაგრამ ძალის დამტანებელი ვერ გაიხარებს და ხელს დაიწვამს. ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ რუმინეთის გამოსვლა რომელიმე მხარეზედ,—თუ კი ეს მოხდება როდისმე,—მაჩვენებელი იყოს ამა თუ იმ მხარის წინასწარ გამარჯვების დაწყებისა. პირიქით, თვით ეს გამოსვლა შეიძლება შეიქმნეს მიზეზი (და არა შედეგი) გამარჯვებისა რომელიმე კავშირისათვის და დამარცხებისა თვით რუმინეთისათვის; ვგონებთ, რუმინეთი ამას არ ჩაიდენს.

## ყვითელი ხელთათმანი

მთელი ქვეყნიერების ყურადღება კვლავ გერმანეთისკენ არის მიპყრობილი. ჯერ კვერთხი ომის კონცერტის დირიჟორობისა მას ეკუთვნის და მიტომაც ასე გაფაციცებით სცდილობენ გაიგონ, საით მიდის იგი, რას აპირებს, რა სიურპრიზებს უმზადებს სანახაობით განცვიფრებულს მსოფლიოს. მთავარი მისი ძალები მიმალულია. უბრალო დემონსტრაციების დროს ჩვენს ყურადღებას ხან რიგა-დვინსკის ფრონტისკენ გააქანებს, ხან დასავლეთისკენ, ხან კიდევ ბალკანეთი ხდება მიმზიდველ სანახაობის ცენტრად. უმთავრესად კი ამ ბოლო დროს აღმოსავლეთის ზღაპრები გახლავთ საყურადღებო. „აღმოსავლეთის პროექტი", მიუხედავად სიძნელისა აუხდენელს არას ამბობენ. პირიქით, საჭოჭმანები აზრი, ძველი ზერელე შეხედულება დღეს დამაფიქრებელ ბერკეტად გარდაიქცა. არა თუ რუსეთის საუკეთესო სამხედრო მიმომხილველნი, არამედ ინგლისისა და საფრანგეთისა დღეს ამ საკითხს დასტრიალებენ, ერთხმად აღიარებენ, შეუძლებელი არა არის რაო, მაგრამ ვიდრე ეს შესრულდებოდეს, გვმართებს ვემზადოთ, ვინაიდან საკითხის ისე შესრულება როგორც მათა ჰსურთ, სასიკვდილო მახვილის ჩაცემის თანასწორი იქნებოდა მოკავშირე სახელმწიფოთათვის.

მაგრამ მარტო მომხიბვლელ პროექტების შედგენა როდი გახლავთ საქმე, არამედ აქტიური ნაბიჯია დამაფიქრებელი. ყოველი სტრატეგიული ნაბიჯი კი იწვევს პოლიტიკურ ნაბიჯის შეცვლა-გადადგმას მსოფლიო განწყობილების ატმოსფერაში. ამიტომ მოკავშირეთათვის მარტო ის კი არ არის საყურადღებო, თუ გერმანეთი რანაირად იმაკედონელებს აღმოსავლეთისკენ, არამედ ის, თუ თვით აღმოსავლეთი როგორ შეჰხვდება ამ ალექსანდრეს, გაუღებს კარებს გასასეირნებლად თუ შვილდ მოწვეული თვითონვე დადგება მოდარაჯეთა შორის და ფეხს არ გადმოადგმევინებს; თუ ამ საკითხს ასეთი სახით განვიხილავთ, ფრიად სიმპტომატიურ მოვლენათ დავინახავთ, რომელთა შესახებ დეპეშათა სააგენტო, მართალია, ცნობებს გვაწვდიდა, მაგრამ უყურადღებოთ ვტოვებდით როგორც უმნიშვნელო რამეს, რა თქმა უნდა, მსოფლიო ომის სანახაობათან შედარებით,

უეჭველია, თქვენ ჰფიქრობთ მხედველობაში სპარსეთი მქონდეს, საზოგადოდ სამაჰმადიანო ქვეყნები. რა თქმა უნდა, ესენიც, მაგრამ ამათზე უფრო საყურადღებო სხვაც გახლავთ, რომლის პროფილის ათას წლოვან ბლუდის იქითა ვხედავთ ყვითელის სახით, ყვითელი მრისხანე მეტყველებით, რომელსაც ყვითელი ხელთათმანი დაუჭერია და საითღაც გადაგდებას აპირებს. თქვენ მიხვდით, ვისაც ვგულისხმობ: ჩინეთს.

საქმე ისაა, რომ ჩინეთის დღევანდელი მოძრაობა ჯერ კიდევ გასულ წელს მარიამობისთვიდან მზადდებოდა. ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნავდნენ გერმანელთა გაძლიერებულ საორგანიზაციო მუშაობას. საზოგადოებას ამხედრებდნენ იაპონელთა წინააღმდეგ. მათი ოქრო ინახავდა „ჩინეთის დამცველ მამულიშვილთა ლიგას," „ჩინეთის ეროვნულ თავდაცვის კავშირს" და სხვათ. მეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ მთავარი ბუდე ამ მოძრაობის ბაირახტართა იდო გოჰკონში და სინგაპურში, სადაც აშკარა მზადებაში იყვნენ და გერმანელი ინსტრუქტორები სწრთვნიდნენ როგორც ჯარებს, ისე მფრინავთ. მანილში კიდევ ჰაეროპლანების საგები ქარხანა გახსნეს, სადაც შარშანვე 12 ჰაეროპლანი დაუმზადებიათ.

ყველა ეს კარგი, მაგრამ მაინც რა კავშირი აქვს ჩინეთის ევოლიუციას ამ ომთან? აი რა: ჩინეთის რევოლიუცია მხოლოდ ერთს მხარეში როდი ხდება. იგი სამხრეთიდან ყოველ მხარეს იელსავით ედება და ნამდვილი ომი იმართება. მათი დევიზი: „ჩინეთი ჩინეთისათვის"—სწორედ ის ყვითელი ხელთათმანი გახლავთ, რომელიც უნდა გადავარდეს ინგლისელთა კოლონიებში, რადგანაც ამათ უფრო, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა სახელმწიფოს, აქვს ფართო გავლენა მათზე. ეს გამოიწვევს ინგლისელთა მხრით ყუადღების გაყოფას, ჯართა გაწვევას, რაც ასე რიგიდ ჰსურს გერმანეთს მთავარ ასპარეზებზე რო ნაკლებად ძლიერი მეტოქე ეგულებოდეს.

მაგრამ საქმე ამითი არ თავდება. დეპეშათა სააგენტოდანაც ვიცით, რომ ამერიკაც რაღაცა სამხედრო მზადებაშია. გავიგეთ, როგორც ცდილობს ქვეითი ჯარების კადრის გაძლიერებას, ვიცით ისიც, რომ სამხედრო გემების აგებას გაფაციცებით ეწევა. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელია იგი უბრალო მაყურებლად დარჩეს ბოლომდე. მას შეეძლო ნეიტრალობა იმ დრომდე დაეცვა, ვიდრე ომის ასპარეზად ევროპა ითვლებოდა და აზიის წინა ნაპირები, მაგრამ რაკიღა მისი ალი გადასწვდება შორეულს აღმოსავლეთს, უსათუოდ ხმას ამოიღებს, ვინაიდან იგი ინგლისზე და იაპონიაზე არა ნაკლებ არის დაინტერესებული ამ მხრით. რახანც ადგება ჩინეთი, რახანც ინგლისს შეეტაკება იგი, უსათუოდ იაპონიაც ამოიღებს ხმას, მის ხმის ამოღება ნიშნავს მთელს შორეულ აღმოსავლეთში გაბატონებას, მაშასადამე, ამერიკელთა ინტერესების გადალახვას. სწორედ ამიტომაა, რომ ოკეანის ზვირთებზე უკვე მათმა გემებმაც დაიწყეს საიდუმლო ქშენა და მრისხანე თვალით აღმოსავლეთისკენ ყურება. ზღაპართა ბურონი იფანტება. ნელ-ნელ ფარდა აიხდება. არ ვიცით, რომელი აქტი იქნება მსოფლიო ტრაგედიაში ეს აქტი, ეს კი ცხადია, რომ გერმანელთა მოფიქრებულ გეგმას სცენაზე ასე ხელოვნურად გამოჰყავს ახალ-ახალი მომქმედნი პირნი. მათ შორის ფრიად საინტერესო გახლავთ ეს ყვითელი მარაონი ახალი ტიპი, თავის ყვითელი ხელთათმანით, რომლის გადაგდებასაც ასეთის ინტერესით მოელის ქვეყნიერება...

**დ. კასრაძე.**

## ბაქოს ვითარება

ვინც ჩვენს ყოფა ცხოვრებას დაუკვირდება, ადვილად შენიშნავს, რომ ყველა ჩვენი კულტურული ცხოვრების დასაწყისად ქართ. ხელოვნება ითვლებოდა და ითვლება დღესაც. თეატრი, ჩვენი ხალხის ერთი უმთავრესი გამათვითცნობიერებელი ტაძარია, კულტურის ზრდის დაუშრეტელი წყარო!.. თეატრის ცხოვრებაში ჩაქსოვილია ჩვენი უმშვენიერესი და თვით უკეთილშობელესი სიტკბოება, რომელიც, გვიღვიძებს ჩვენ ჩაფერფლილ ეროვნულ სიამაყესაც. თეატრში ჩვენ ვგრძნობთ სულის უმწვერვალეს ამაღლებას, აქ ვხედავთ ჩვენი ახოვან წინაპართა შეუდარებელ შრომას, მათ სიმხნეს, სიმტკიცეს, შეუდრეკელობას... ქართული თეატრი—ეს ისტორიული კავშირია ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის. სწორედ ეს დიადი მნიშვნელობა საკმარისად იგემა ჩვენმა საზოგადოებამ და თავგამოდებით დაეწაფა ხელოვნებას. უკვე ათი წელიწადი შესრულდა რაც აქ არსებობს ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. ბაქოს განყოფილების დრამატიული წრე. უკანასკნელს ბევრი რამ აქვს შეძენილი ამ ხნის განმავლობაში: ისტორიული ტანისამოსები, პიესები—გადაწერილი როლებით, დეკორაციები, ძველებური იარაღები და სხვა. დიდი ხანია რაც აქ დაიბადა სურვილი—საკუთარ თეატრის აგებისა, მაგრამ ეს სამწუხაროდ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ქართ. თეატრის აშენების მოლოდინში წარმოდგენები სისტემატიურად იმართება ადგილობრივ სომეხთა კაცთ-მოყვ. საზ. დარბაზში.

განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ აქაური მსახიობ-სცენის მოყვარეები გულმოდგინეთ არიან ჩაბმული ამ საშვილიშვილო საქმეში და თავ-თავიანთი უანგარო შრომით ხელს უწყობენ ისეთ კეთილ საქმის წარმატებას, რომელიც როგორც გონებრივად ისე ზნეობრივათაც ასაზრდოებს და თვით-გამორკვევის სხივებს ფენს ხალხს.

* *
*

როცა ქართველ ქალებზე ჩამოვარდება ხოლმე საუბარი, ყველგან და ყველა წარსულისაკენ ვიხრებით და ვიგონებთ ძველ დედებს, იმ დედებს, რომელნიც გვერდში უდგნენ თავიანთ ქმრებს და ამხნევებდნენ: მეც შენთან ერთად შენი ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროვო!.. და თუ შინ რომელიმე რჩებოდა, ისიც „ტკბილ ნანინას" უმღეროდა თავის პირმშო შვილს და მრავალ საგმირო ზღაპრებით ასალკლდევებდა მის გრძნობა-გონებას. ძუძუსთან ერთად აწოვებდნენ თავიანთ შვილებს სამშობლოს უანგარო სიყვარულს და მისთვის თავდადებას!.. კეთილშობილი, მაღალზნეობოვანი იყო ძველი დედა და მისივე მსგავსივე იყო მისგან აღზრდილი შვილიც. მაგრამ დრონი იცვალნენ!.. ასეთი დედები წარსულმა შთანთქა. დღეს იმ დიდებულ ქართველის ტიპის მხოლოდ აჩრდილი-ღა დარჩა. ამ „მარად ნეტართ დედათა" ძვირფასი და სანატრელი ზნეობრივი თვისებანი: სიმხნე, სიმტკიცე, შეუდრეკლობა, ცხოველი გრძნობა, სამშობლოს უანგარო სიყვარული საოცნებო და სანატრელ მოვლენად გვგვხდომია არა თუ მარტო ჩვენ, არამედ თვით ჩვენ მგოსნებსაც კი, რომელნიც მათ საქებ-სადიდებლად მშვენიერ ლექსებს ჰქმნიან ხოლმე. მართალია, დღევანდელი ქალიც ისევე (?) თვალ-ტანადია, როგორც მისი წინაპარი, მაგრამ იგი ქართველი კი აღარ არის! რასაკვირველია, მე აქ ვამბობ საგრძნობელ ნაწილზე და არა იმ თითო-ოროლაზე, რომელნიც აქა-იქ კიდევ ანათებენ ბეუტავ-მნათობსავით. გულწრფელად ვიტყვი, რომ დღევანდელი ქალი, რაც უნდა გრძნეული, მომჯადოებელი და მომხიბვლელი იყოს, ვერ შეედრება ძველ დედას. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი დღევანდელი ქალები ფერს იცვლიან, განახლების გზას დაადგებიან; უკუაგდებენ ყოველგვარ უშინაარსობას და მის მას მაგიერ ხელს ჩაკიდებენ გონივრულ იდეალს და ძველი გრძნობა, რომელიც მათში ოდესღაც ღვიოდა, კვლავ გაჩაღდება და გაძლიერდება. ჩვენ გვწამს, რომ ყველა მტკიცედ, შეურყეველის რწმენით და დაუცხრომელის ენერგიით გაითვალისწინებს იმას, რომ ოდესღაც მის უწმინდეს დანიშნულებას შეადგენდა მამულის სამსახური, რომ იგი „უწინ მამულსა უზდიდა შვილსა"...

თუ ეს აქამდის ვერ მოუხერხებიათ ჩვენს დედებს, შეიძლება ამის მიზეზი ჩვენც, (კაცებიც) ვიყვეთ?!.

**ვ. მაცხოვარკარელი.**

## დაბა-სოფლები

**საინგილო.** სიმშილი სოფლებში უკვე კარგა ხანია რაც დაიწყო. პური თუმცა ცოტა, მაგრამ მაინც მოდის რუსეთიდგან. ვაჭრები და ჩარჩები მამასისხლათა ჰყიდიან ხორბალსა, სამი მანეთიდგან დაწყებული თითქმის ოთხმანეთამდის. პოლიცია უძლურია ებრძოლოს მათ აღვირწახსნილ თარეშს, რადგანაც ვაჭრობა ჩუმად-მალულად სწარმოებს. დამშეული ხალხი ამას თითქმის არ დასდევს, რადგანაც მოხარულია, რომ გასასყიდ პურსა შოულობს. მაგრამ რა ჰქნას ღარიბ-ღატაკმა ხალხმა. უნდა თქვენის თვალითა ნახოთ ადგილობრივ კოოპერატიულს მაღაზიასთან რა ამბავი ხდება ხოლმე, როცა კი მაღაზია პურს მიიღებს. ყველა დიდი და პატარა, თვალცრემლიანი დედაკაცები და ბავშვები ერთბაშად მიაწყდება და ერთხმად დაიძახიან „პური, პური, სიმშილით ვიხოცებით". რასაკვირველია, პური სხვაგანაც არის გასასყიდი, მაგრამ იმ ფასებში, რა ფასებშიაც კოოპერატიული მაღაზია ჰყიდის, არავინ არ იძლევა. ამის გამო ეხლა გლეხკაცობა თვალნათლივ ჰხედავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერატიულს მაღაზიას მისთვის და თუ წინად ცოტა არ იყოს ნდობით არ ეპყრობოდენ მას, ეხლა დიდათ გაიზარდა მისი მნიშვნელობა ხალხის თვალში. საუბედუროდ კოოპერაციას იმდენი სახსარი არ მოეძებნება, რომ ყველანი დააკმაყოფილოს, მაგრამ მის მიერ გამოწერილი ხუთი ვაგონი ხორბალი, სტავროპოლიდგან, რომელიც უკვე მოდის ცოტად მაინც უშველის გლეხკაცობას ამ სიმშილის დროს.

ცხვარს ამ ზამთარში ერთგვარი ავადმყოფობა გაუჩნდა, რომელსაც ცხვრის ჭლექს ეძახიან და რომელიც მუსრს ადენს ცხვარსა. ეს ავადმყოფობა იმაში მდგომარეობს, რომ ცხვარს ფილტვებში უჩნდება ძაფსავით წვრილი, თეთრი გრძელი ჭია, რომელიც მრავლისაგან-მრავალი ედება ფილტვებს, ასუსტებს, აუძლურებს და სიცოცხლეს უსპობს მას. ამას უნდა დაუმატოდ წრევანდელი უბალახობა, ცხვარი თავისათვის გამოსადეგ-საჭმელ წვრილ ბალახს ვერა შოულობს და ეს გარემოება უფრო აორკეცებს ცხვრის გაჭირვებას. საზოგადოდ წრეულს აქეთკენ მეტად მშრალი შემოდგომა და ზამთარია. არც თოვლი, არც წვიმა-ტალახი, გზებზედ ისეთი კორიანტელი ადის მტვრისა, თითქოს შუა ზაფხულიაო. ამბობენ თუ ასე გაგრძელდა მოსავალს ხეირი არ დაეყრებაო. ღმერთმა ნუ ჰქნას, თორემ თუ წრევანდელს სიმშილობას კიდევ მოუსავლობა დაერთო, მაშინ ხალხი სულ დაიღუპება და გადაშენდება.

**ზ. ედილი.**

## პროვინციის ქრონიკა

**გორი.**

შაბათს 30 იანვარს, დილით, ჩამოიყვანეს 298 დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცი და ადგილობრივ ლაზარეთებსა და გოსპიტლებში მოათავსეს. მათ შორის ბევრი ქართველია.

— ქალაქის გამგეობამ ხორცის ნიხრს მიუმატა; ძროხისა ღირს 18 კაპ. გირვანქა (წინად 16 კ.), ცხვრისა 20 კაპ. (16 კ.), კამეჩისა 12 (10 კ.), თხისა 15 კაპ. (12 კ.), ღორის ქონი 35 კაპ. და სხვ. მოუმატა აგრეთვე პურზე ნახევარი კაპ. ყველა ხარისხზე. მოუმატა მეეტლეებსაც.

**ხარაგოული** (შორაპ. მაზ.)

ბელაგორის საკრედიტო ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია 7 თებერვალს დილის 10 საათზე.

**კახეთი.**

შეუდგნენ შაბიამან-გოგირდის შეძენას.

**ჭიათურა.**

სამოსწავლო ნივთები ძლიერ გაძვირდა. რვეული იყიდება 8 კაპ.

**ხიდისთავი.**

ხიდისთავში დამტკიცდა ფოსტის განყოფილება.

— წ.-კ. ხიდისთავის განყოფილებას გუბერნატორმა ნება დართო ს. ბუკნარში წიგნთ საცავ სამკითხველოს გახსნისა.

— ხიდისთავის მომხმარებელ საზ. „თანხმობას" უკვე 300 წევრი ჰყავს.

**ქუთაისი.**

29 იანვარს თითქმის სამ მეოთხედს მეპურეებისას არ გამოუცხვიათ პური.

**ს. არგვეთა.**

26 იანვარს, არგვეთის წვრილი კრედიტის ამხანაგობის ბინაზე აკაკის პანაშვიდი გადაიხადეს. სიტყვა წარმოსთქვა მ. დ. მაჭავარიანმა.

**დ. სამტრედია.**

სამ წელიწადზე მეტია, რაც აქ არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა: მან დიდი დახმარება გაუწია ხალხს; წევრთა რიცხვი, საოცარის სისწრაფით გაიზარდა.

**მჭადის ჯვარი,** (დუშეთის მაზრა).

კვირას, 7 თებერვალს, დანიშნულია სოფელ მჭადისჯვრის მომხმარებელი საზოგადოების „სინდისი"-ს წლიური კრება. სასურველია შეძლებისამებრ კრებას ყველა დაესწროს.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

მაჰმადიან ქალთა საზოგადოებამ „ახალ კლუბში" გამართულ საღამოს (31 იანვარს) მთელი შემოსავალი 2,700 მან. აღემატა. ჯერ არ მიუღიათ საპატიო ბილეთების ფული რომელიც დაგზავნილი იყო როგორც თბილისში ისე კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში.

ადგილობრივი მაჰმადიანთა მომღერალი დასი და ბაქოდან ჩამოსული მსახიობნი დასდგავენ 7 თებერვალს სახალხო სახლში ოპერას „ასლი ქარამ", შინაარსი აღებულია მაჰმადიანთა ცხოვრებიდან: სიყვარული ახალგაზრდა მაჰმადიანისა და სომეხ მღვდლის ქალის ასლისა.

## თეატრი

**ჭიათურა.**

23 იანვარს ხონის საზოგადო საკრებულოში გაიმართა სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ „საცეკვაო საღამო".

იანვრის ბოლო რიცხვებში გაიმართა „აკაკის საღამო".

**სოხუმი.**

14 იანვარს ადგილობრივ ქართულ სკოლის სასარგებლოდ გაიმართა „საღამო-მეჯლისი. ხალხი აუარებელი დაესწრო.

**თბილისში.**

დღეს სახალხო სახლში სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ირინეს ბედნიერება" და „მაღაროს უფროსი მუშა".

## მუშათა შორის

**ბათომი**

ამ უკანასკნელ ხანებში ბათომის რაიონში დიდი მუშაობა იყო, მაგრამ ეხლა ცუდი ამინდებისა და დიდი თოვლის გამო შესწყდა; ბევრი დარჩა უსაქმოდ და ისინიც იძულებული შეიქნენ შინ დაბრუნებულიყვნენ სწორედ მაშინ, როცა ბათომიდან თავისუფალი მუშები მიდიან საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოვიდენ მუშები, რომელთაც სამუშევრის შოვნა სურთ, მაგრამ სამუშაო კი არ არის. სახლიდან წამოღებული ფული შემოელიათ და ქუჩებში ათენებენ.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადოთ ავჭალაში მცხოვრებელს დიდათ პატივცემულ კნეინას მარიამ იოსების ასულს ტუსიშვილისას, რომელმაც კეთილ ინება და სოფელ მჭადისჯვრის სამკითხველოს კვლავინდებურად გამოუწერა მთელი წლით ჟურნალი: „თეატრი და ცხოვრება".

მჭადისჯვრის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე მღვდ. **მიხ. მშველიძე.**

## ნარევი

**ქორწილის შემდეგ.**

ერთერთ ამერიკულ გაზეთში სწერია: მისს მერი შელტონს და მფრინავს გორნს ქორწილის გათავების უმალ ჰაეროპლანით გაუსეირნიათ და ქორწინების პირველი ხანა ჰაერში გაუტარებიათ.

გაზეთი დასძენს: უეჭველია ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა არ იქნება და ამას იქით არა თუ დაქორწინებულნი, ახლად დანიშნულებიც სანეტარო დროს ჰაერში გაატარებენო.

**მიცვალებულს თავის დამარხვაზე უმღერნია.**

ევროპის გაზეთებში ხშირად არაჩვეულებრივ ამბებს ამოიკითხავთ.

ამ რამდენიმე წლის წინად ერთ მდიდარ ინგლისელს დაშავებული ფეხი მოსჭრეს. ავადმყოფმა მოისურვა ფეხი კარგად შეენახათ. ავადმყოფი როდესაც მორჩა, გააკეთებინა მშვენიერი კუბო, მოიპატიჟა თავისი მეგობრები და მოჭრილს ფეხს ანდერძი აუგებინა. შემდეგ ფეხი ზეიმით გაასვენეს საგვარეულო სასაფლაოსკენ. ფეხის პატრონმა თავის მოჭრილ ფეხს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: უკანასკნელ სალამს გაძლევ ჩემო ერთგულო ფეხო. მადლობას გწირავ ამდენი ხნის სამსახურისთვის. მე თუ თან ვერ მოგდევ, არ იფიქრო გღალატობდე, დადგება დრო და ერთმანეთს შევხვდებით ისევ გამომებმებიო!"

—

ხოლო ამ უკანასკნელ დროს ერთს ევროპიელს შემდეგი ანდერძი დაუტოვებია: მე როცა მოვკვდე, და მასაფლავებდეთ, სიტყვა მე თვით მათქმევინეთო.

— როგორა? ჰკითხეს გაოცებულებმა.

— გრამოფონის საშუალებითაო.

ანდერძი აუსრულებიათ. თურმე როდესაც ასაფლავებდნენ, გრამაფონს ათქმევინებენ გარდაცვალებულის სიტყვას და თან კუბოს სამარეში უშვებდნენ.

**ყველაზე სამწუხარო ჟამი.**

რა დროს უფრო მეტნი იხოცებიან? ამის გამოსარკვევად ექიმთა შორის სხვა და სხვა აზრი ტრიალებს. ზოგნი ამტკიცებენ: ყველაზე მეტი დილის 6 საათზე კვდებაო. საფრანგეთში ერთის წლის განმავლობაში დილის 6 საათზე გარდაცვლილა 15,000. ზოგნი ამბობენ დილით მამაკაცები იხოცებიან, ხოლო საღამოთი დედაკაცებიო.

ბერლინელი ექიმი ვაქსი ამტკიცებს: მთელს დედამიწის ზურგზე უმეტესი იხოცება დილის ხუთიდან შვიდ საათამდეო საფრანგეთში მშვიდობიან დროს საათში კვდება 11,500 ქალი და კაცი.

ყველა ექიმების აზრით საღამოს შვიდ საათიდან ვიდრე თერთმეტ საათამდე ყოველი ავადმყოფი თავს უკეთესად ჰგრძნობსო.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. | „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 | „ | „ |

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთუხუცესოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.